საჯარო სამართლის იურიდიული პირი _

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/159

20 სექტემბერი, 2021 წ. ქ. ბათუმი

,,ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 31 აგვისტოს N01-02/140 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს N 06-01/82 დადგენილების, ,,2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 6 სექტემბრის N01-02/149 ბრძანების, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 19 სექტემბრის N942291 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ,,ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 31 აგვისტოს N01-02/140 შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7. სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს 2021 წლის 21-22 სექტემბერს, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება ამ პირთა მიერ ელექტრონული რეგისტრაციისას წარმოდგენილი, რექტორის 2021 წლის 31 აგვისტოს N01-02/140 ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული **დოკუმენტაციის დედნები და პირველი სემესტრის სწავლის საფასურის (არანაკლებ 1000 ლარის) გადახდის ქვითარი** (ხელშეკრულებები გაფორმდეს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა N35, პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი N16).“.

2. სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირებთან **ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი:**

ა) მერაბ დიასამიძე - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი (ჯგუფის ხელმძღვანელი);

ბ) ამირან შარაძე - ელექტრონული რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;
გ) გოჩა სურგულაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი;
დ) გვანცა დიასამიძე - სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი;
ე) ირმა დიასამიძე - საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მტავარი სპეციალისტი;
ვ) მარიამ ბოლქვაძე - სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
ზ) თინათინ ჭიჭვეიშვილი - სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი;
თ) ხათუნა გამყრელიძე - სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
ი) ზურაბ პაპუნიძე - ბსუ-ს მოწვეული სპეციალისტი;
კ) ნიკა დავითაძე - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის სტაჟიორი.

3. ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს 2021 წლის 27 სექტემბერს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ (ვიზირებული ფაკულტეტების დეკანების მიერ) წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.
4. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაციის ბსუ-ს ვებგვერდზე ასახვა და ასევე დარეგისტრირებული აპლიკანტების ინფორმირება (განაცხადებში მითითებულ ელექტრონული ფოსტაზე).
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**